პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOS DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSYA GRUZINSKOY SSR

ოთხშაბათი, 19 მარტი, 1947 წ. № 58 (7842). ფასი 20 კაპ.

ДЕСЕ ГАЗЕТИШИ:

შევისწავლოთ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიები. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი (1-ლი გვერდი).

მოსკოვში ორგანიზებულ ელექტროენერგეტიკულ დარგებთან დაკავშირებით. თბილისის პროფკავშირულ-სამეურნეო მუშაკთა ატმოსფეროს საქალაქო კრება (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში (1-ლი გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში (მე-2 და მე-3 გვერდები).

ბოლშევიკურად შეიარაღებულთ სრულიად სალაშქროდ სასოფლო-სამეურნეო გაფაფილეთ მოსავიდეობის [illegible] ბისათვის! (მე-2 გვერდი).

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

შევისწავლოთ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიები

ბოლშევიკური პარტიის ბელადებისა და ორგანიზატორების, საბჭთა სახელმწიფოს დამაარსებლების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, ჩვენი კადრების იდეური გამოწრთობისათვის.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა განუყოფლად დაკავშირებულია ჩვენი პარტიის შექმნის, მისი შშენებლობისა და განმტკიცების ისტორიასთან. წიგნები ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მძლავრი იარაღია მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების, კადრების ბოლშევიკური გამობრძმედის საქმეში. ეს წიგნები ჩვენს კადრებს ზრდიან უყველზე მოწინავე იდეების სულისკვეთებით, დიდ დახმარებას უწევენ ყველა მათ, ვინც ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიას, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის დიად მოძღვრებას სწავლობს.

ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების პირველი ფურცლები უბრალოდ, მოკლედ მოგვითხრობენ, თუ რა მუშაობას უწევდნენ დიდი ბელადები ნახევარი საუკუნის წინათ რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური პარტიის შეაქმნელად და მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის დასაკავშირებლად, მიცნიერული სოციალიზმის თეორიის შესატანად მუშებში, სოციალიზმის ამ იდეების განსრულებისათვის მუშათა კლასის დასარაზმავად.

ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებში მოკლედ, გასაგებად მოგვითხრობენ, თუ როგორ, რა პირობებში ჩაისახა ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა და პოლიტიკური პარტია, გვაძლევენ სწორ ორიენტაციას, თუ როგორ, რა ვითარებაში ქმნიდნენ დიდი რევოლუციონერები ამ პარტიის ორგანიზაციულ და ტაქტიკურ, იდეოლოგიურ და თეორიულ საფუძვლებს, როგორ აშენებდნენ და აწრთობდნენ ისინი პარტიას მუშათა კლასის ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ უღმობელ ბრძოლაში.

ეს ბიოგრაფიები გვასწავლიან, თუ როგორ რაზმავდნენ ბოლშევიკები ხალხთა მასებს რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როგორ ამტკიცებდნენ პარტიის რიგებს რევოლუციის დამარცხების შემდეგ, — რეაქციის პერიოდში, როგორ ზრდიდნენ, ამზადებდნენ და რაზმავდნენ ისინი მშრომელთ ახალ რევოლუციურ ქარტეხილთათვის და, ბოლოს, ბოლშევიკური პარტიის, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით როგორ გამიჯნავდა საბჭოთა რევოლუციამ 1917 წლის ოქტომბერში, როგორ შეიქმნა ყაზრონობის ისტორიაში პირველი საბჭოთა სახელმწიფო.

ეს ბიოგრაფიები გვასწავლიან, რომ ლენინისა და სტალინის სახელებთან არის დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლების პირველი გამარჯვებანი სამეურნეო და სამოქალაქო ომის ფრონტებზე, რომ ლენინისა და სტალინის ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა გაანადგურა უცხოთის ინტერვენცია და კონტრრევოლუცია, რის შემდეგაც შეუდგა შვიდობიან სამეურნეო აშენებლობას, იმპერიალისტური ომითა და სამოქალაქო ომით მოყენებული ნგრევის სწრაფად ლიკვიდაციას, სახალხო მეურნეობის აღდგენას. ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიაში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ მან, როგორც ლენინის საქმის დიდმა განმამტკიცებელ ერთ უფრო მაღლა აწია პარტიის ალმა, ხალხს ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში წმინდად დაიცვა ლენინზმი, განავითარა იგი და ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია გვიჩვენებს, თუ რა უდიდეს მუშაობას ეწეოდა პარტია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის. ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ემყარებოდა რა ლენინის მოძღვრებას, ლენინის ანდერძს პარტიისადმი, ამხანაგმა სტალინმა შეიმეშავა სოციალისტური საზოგადოების ბაკების გენიალური პროგრამა, დარაზმა პარტია და ხალხთა მილიონიანი მასები ამ პროგრამის განსახორციელებლად, სოციალისტიზმის მშენებლობაში შეენებული მონაწილეობის მისაღებად. ბიოგრაფია ვგაცნობს, როგორ აშენა საბჭოთა ხალხმა სრული სოციალისტური საზოგადოება დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით.

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია გვიჩვენებს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში, როცა გენიალური მხედართმთავარი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლას გერმანიის ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ. ბიოგრაფიაში ნათლად არის ნაჩვენები თუ როგორ წარმართავდა ამხანაგი სტალინი გმირი საბჭოთა არმიის სარმან მოქმედებას ფრონტზე და სამეურნეო-ორგანიზატორულ მუშაობას ზურგში, როგორ აზღვნდა საბჭოთა ხალხის მატერიალურ და სულიერ ძალთა მობილიზაციას მტრის შესამუსრავად. მხოლოდ სტალინის გენიას შეეძლო ჩაუშალა მტრის ყველა გეგმა და ჩვენი ქვეყანა მიეყვანა ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებში მოცემულია მათი, როგორც ახალი ტიპის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეთა დახასიათება. კითხულობთ მათ და თქვენს წინაშე წარმოსდგებიან ყველა დროისა და ეპოქის მეცნიერებათა უდიდესი კორიფეები, რომელთა მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მშრომელთა საკეთილდღეოდ იყო მიმართული.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ყოველი საბჭოთა მოქალაქე, რომელიც სწავლობს ბოლშევიზმის ისტორიასა და თეორიას, ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებში ჰპოვებს მდიდარ მასალას. ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შესწავლით იგი გაეცნობა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრების ყველა ძირითად ისტორიულ მოვლენას, მიიღებს მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა ძირითადი თეორიული საკითხის მოკლე განმარტებას. ამ ბიოგრაფიების შესწავლა კიდევ უფრო ამაღლებს მისი თეორიული მომზადების დონეს.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ისაა, რომ ფართად გაშალონ მუშაობა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შესწავლისათვის, მოაწყონ სწავლრამეთან, კოლეფურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, დაწესებულებებთან, სასწავლებლებთან ლექციები და მოხსენებები ლენინისა და სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე; ბიოგრაფიების დამოკიდებულად შემსწავლელი სისტემატიკად უზრუნველყონ კონსულტაციები, საკრარო რჩევა-დარიგებით, ლიტერატურით; ამ ამხანაგებისათვის, რომელთაც არა აქვთ საკმარ მომზადება წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისათვის, შეიქმნან წრეები და უზრუნველყონ ისინი სათანადოდ მომზადებული პროგანგანლიტერთ; მოაწყონ ეკსკურსიები ლენინის მუზეუმისა და ლენინისა და სტალინის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შესწავლა იდეურად შეიარაღებს ჩვენს კადრებს საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში, დაგვეხმარება მეოთხე სტალინური ხუთწლიდის დასაკუთვნა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების საქმეში.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მიწათმოქმედების სამინისტროს, ტექნიკური კულტურების სამინისტროს და მეცხოველეობის სამინისტროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დადგენს:

1. გაერთიანდეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტრო, საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრო და საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამინისტრო ერთ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ და დაეკისროს მას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარების ხელმძღვანელობა.

2. საბჭოდან იქნას ცხობილი მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის სამინისტროების და მთავრობის მიერ 1947 წლისათვის ამოთვილ საწარმოს წინაშე დაყენებული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმიდან.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა ვალდებულება უნდა აიღონ, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაანაბეს ყველგვარ ყველა ბუნა, ყველა ინჟინერ-ტექნიკოსი და მოსამსახურე. მათ ვე უნდა აკისრონ დაეხმარონ მუშებს სტახანოვური შრომის მეთოდების ათვისებაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში და ადმინისტრაციასთან ერთად დაამეგობრონ სტახანოვური მეთოდების დანერგვის გეგმა.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლებმა საჭიროა ერთად შეადგინონ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გეგმები წარმოების შემდგომ რაციონალიზაციისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის და ამით შექმნან პირობები საწარმოო დავალებათა ჯადოსნურებით შესრულებისათვის.

სამეურნეო ხელმძღვანელები და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მუშები წინასწარ სახავენ, თუ როგორ უზრუნველყონ კოლექტიურ ხელშეკრულებაში შესატან ისეთ ვალდებულებათა განხორციელება, როგორიცაა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლება, სანიმუშო შეჯიბრების, მუშათა კულტურული მომსახურების და მათი მომარაგების საქმის გადაჭრით გაუმჯობესება და ა. შ.

ძირეული პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა აქედანვე ჩაუდგნენ სათავეში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებად დაწყებულ მზადებას, გაანალიზონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა შრომის დისციპლინის განმტკიცების, სპეშეო დროის შემოიღებოს, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ხელშეკრულებათა შესრულება კანონია

კოლექტიური ხელშეკრულება ორივე მხარემ აუცილებელია განაღდოს. ხელშეკრულება გულისხმობს საწარმოთა ხელმძღვანელების მხრივ ყველა იმ ვალდებულების ზუსტად შესრულებას, რაც შეიქმნის მუშებისათვის მაღალნაყოფიერი შრომის პირობებს. მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსს ყველაფერი უნდა ექნეს ამისათვის, რომ მან წარმატებით შეასრულოს გეგმა. თუ ამ მხრივ მუშას დაავლდა ან ნელფეხა ან ხელსაწყო, დამხმარე მასალა და სხვა, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელებმა ვერ შეასრულეს კოლექტიური ხელშეკრულება. ასევე უნდა ითქვას პროფკავშირზეც. თუ საწარმოს კოლექტივში არ არის განმტკიცებული შრომის დისციპლინა, არ ხდება ახალი ტექნიკის ათვისება, ფაროდ არ დანერგავ სტახანოვური მუშაობის მეთოდები, არ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება — ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ პროფკავშირი ვერ ასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ორმხრივი ვალდებულებების უნაკლოდ განადგენა — ასეთია ამოცანა.

ახლა მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის გეგმების დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავის ოფის შესასრულებლად. ეს შეჯიბრება, რომელიც ბმირი ქალაქის — ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივებს წინადადებით დაიწყო, დღითიდღე იზრდება და ფართოვდება. კოლექტიური ხელშეკრულებათა დადებით ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალშენებლობათა კოლექტივებს საშუალება ეძლევათ კიდევ უფრო გააფართოონ შეჯიბრების ფარგლები, მეტი წარმატებით შეასრულონ ლენინგრადელთა საპასუხოდ ნაკისრი საწარმოო ვალდებულებანი.

რა სთქვეს საწარმოთა წარმომადგენლებმა

ამხ. ა. გიორგაძის მოხსენების გამო კამათიდან გამოირკვა, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებად წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა გაჩაღებულია თბილისის ოთხმეს ყველა საწარმოში. მაგრამ ხელშეკრულებათა პროექტების დამუშავებას აფერხებს ის, რომ სათანადო სამინისტროებიდან და ხელმძღვანელი პროფესიული ორგანიზაციებიდან საწარმოებს მიღებული არა აქვთ ხელშეკრულებათა სანიმუშო პროექტები.

ი. ხვედელიანმა (კიროვის სახელობის ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე) განაცხადა, რომ საწარმოს ყველა საამქროში ახლა წარმატებით ინერგება ინჟინერ ვ. ბეთუხეზის საამქროს კოლექტივის გამოცდილება (იხ. გაზ. „კომუნისტი" № 56), რაც საშუალებას იძლევა დაფარულ იქნას მაიაალკალიფიციური მუშახელის სიმცირე და დიდი გადაჭარბებით შესრულდეს საწარმოო დავალებები. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადებაში საქარხნო კომიტეტს დიდ დახმარებას უწევს პარტიული ორგანიზაცია.

ა. მელაძემ (26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი) გააშუქა მთელი მზადებელი მუშაობა, რაც დაწყებულია ამ საწარმოში კოლექტიური ხელშეკრულების შესადგენად. მან აღნიშნა, რომ ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელები და პროფესიული ორგანიზაციები საყოველთო მომზადებელი ორიან კოლექტიურ ხელშეკრულების დადებისათვის.

ნ. ლოლაძემ (ტანსის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარეკონტო ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ საწარმოში დაწყებულია შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერება და მუშათა წინადადებების შეგროვება, რათა მზად შეგხვნენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დაწყებას.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამბროშაძის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **კ. ცაგარეიშვილმა**, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ **ამხ. სარქისოვმა** და თბილისის სორთქლმავლო დეპოს უფროსმა **გ. წერეთელმა.**

აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია მოსმენილი მოხსენების გამო.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამ. ვ. გოგუაძ, ვ. ლოლაძემ და ნ. ლეონიძემ.

• • •

უდიდესი აღფრთოვანებით იქნა მიღებული მისასალმებელი დეპეშის ტექსტი ხალხთა ბელადის დიდ სტალინისადმი.

კრებამ მისასალმებელი წერილი გაგზავნეს აგრეთვე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონისა და რაიონული ცენტრის გადაკმეთის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ეწოდოს საქართველოს სსრ ბორჩალოს რაიონის ცენტრს სოფელ ბორჩალოს სოფელი მარნეული და ბორჩალოს რაიონს — მარნეულის რაიონი.

2. საქართველოს სსრ ბაშკიჩეთის რაიონის ცენტრს სოფელ ბაშკიჩეთს — სოფელი ფარცხისა და ბაშკიჩეთის რაიონს — ფარცხისის რაიონი.

3. საქართველოს სსრ ყარაიის რაიონის ცენტრს სოფელ ყარაიის სოფელი გარდაბანი და ყარაიის რაიონს — გარდაბნის რაიონი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1947 წ. 18 მარტი. ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ა. ალავიძის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1947 წ. 18 მარტი.
ქ. თბილისი.

მოვემზადოთ კოლექტიური ხელშეკრულებათა დადებისათვის

თბილისის პროფკავშირულ-სამეურნეო მუშაკთა ატმოსფეროს საქალაქო კრება

17 მარტს საღამოს ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის პროფკავშირულ-სამეურნეო მუშაკთა ატმოსფეროს საქალაქო კრება, რომელიც მოწვეული იყო საქართველოში პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური სპორტის ბიუროს ინსტრუქციის საბჭოს რწმენებულის სამმართველოს მიერ. აქტივის კრებამ, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს ქ. ა. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტების მდივნები, მინისტრები, პროფესიიუელ კავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები, მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალშენებლობათა საწარმოების დირექტორები, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთა ფავმჯდომარეები, განიხილა საკითხი — როგორ მიმდინარეობს თბილისის საწარმოებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადება.

აქტივის კრებამ მჭეხარე, ხანგრძლივი ტაშით სალაქო პროგნიდიუმში აირჩია საკავშირო ქ. ა. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდ-სტალინის მეთაურობით, ოგრეთვე ამხანაგები ქ. ნ. ჩარკვიანი და კუზეიცევი.

მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადების სალითხზე გააკეთა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს რწმენებულმა ამხ. ა. გიორგაძემ.

დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მინისტროთა საბჭომ მოიწონა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ შეტანილი წინადადება 1947 წელს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების განხილვის შესახებ.

კოლექტიური ხელშეკრულებები წელს დადებულ იქნება მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში და ახალშენებლობებზე. ეს დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია — კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება — უნდა დამთავრდეს მარტსა და აპრილში, ე. ი. ფაქტიურად თვეებზეადრე უფრო მეტიც ხანში.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების მთავარი მიზანი ის არის, რომ, როგორც საწარმოთა ხელმძღვანელების, ისე მუშათა კოლექტივების მხრივ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებით უზრუნველყოფთ 1947 წლის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით განადგენას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, სამეურნეო და პროფკავშირულ მუშაკთა პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის და შრომის უფრო რაციონალურად მოწყობისათვის.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება ხელს შეეწყობის საწარმოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამომეღლენებას, მათს უმოკლეს ხანში გამოსწორებას.

კოლექტიურ ხელშეკრულებებში აღნიშნული ორმხრივი ვალდებულებების შესრულების შემოწმება უნდა ხდებოდეს სისტემატურად, ყოველთვიურად და ყოველკვარტალურად, გამლილი თვითკონტროლისა და კრიტიკის ნიშნით. ეს დამოწმეულ მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდას.

რა უნდა გაკეთდეს ამ ეტაპად?

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებად მზადება საჭიროა დაუყოვნებლივ გაჩაღდეს ყველა საწარმოში და ახალშენებლობებზე. საწარმოოთა და ახალშენებლობათა ხელმძღვანელებმა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად წინასწარ უნდა დაამშვენონ კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი ამ პროექტში აუცილებელია ასასხოს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

1946 წელს შეუსრულდა რწმუნების ხუთი წლის ვადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს და ვიცე-პრეზიდენტს აკადემიკოს ს. ჯანშიას. ამავე დროს რწმენების სამი წლის ვადა შეუსრულდა აკრეთვე აკადემიის პრეზიდიუმის ერთ წევრს.

აკადემიის საერთო კრებამ ფარული ენენსყრით კვლავ აირჩია:

პრეზიდენტად აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად აკადემიკოსი ს. ჯანშია და ს. ჯანაშია და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. აგლაძე, პრეზიდიუმის წევრად აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი.

საერთო კრებამ დაამტკიცა აკადემიკოს-მდივნის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის გ. ახვლედიანის თხოვნა ამ თანამდებობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ და აკადემიკოს-მდივნად აირჩია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ი. ვეკუა.

კრებამ დამამტკიცა ნაკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. შანიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. ყეციოფელი და ბიოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ნათიშვილი, რომელნიც არჩეულ იქნენ ამ თანამდებობაზე სათანადო განყოფილებათა მიერ.

არჩევნების შედეგად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობა ასეთია:

პრეზიდენტი — აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი,

ვიცე-პრეზიდენტი — აკადემიკოსი ს. ჯანშია,

ვიცე-პრეზიდენტი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. აგლაძე,

აკადემიკოსი - მდივანი—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ი. ვეკუა,

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. შანიძე,

მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ჯანლიერი,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. ყეციოფელი,

ტექნიკურ-მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გ. წულეკიძე,

ზოოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ნათიშვილი,

პრეზიდიუმის წევრნი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი პ. შარია და აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი.

საბჭოთა ასპროფესიების ექსკურსია ბრაზილიაში

ლენინგრადი, 17 მარტი. (საკუთ.). ბრაზილიაში მიემგზავრებიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატ ორნინოფელი ექსპედიციის ძონაწილენი, რათა აწარმოონ დაკვირვება ჭნის სრულ დაბნელებაზე, რაც 20 მაისს მოხდება.

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის!

შრომის ხალისი გვემაგზება

ლაგოდეხის რაიონის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვას საქართველოს კოლმეურნეობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება.

სოფელ შრომის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ილო ნატრიშვილმა განაცხადა:

—ჩვენ, კოლმეურნეები ერთი აზრით ვართ გამსჭვალულნი; საქმით ვუპასუხოთ ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობას, ენერგიულად შრომით გავადიდოთ საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა, მოვიყვანოთ მეტი პური, თამბაქო, ვადაძმე გადაკარებენი შეკასოლოთ ყველა სახელმწიფო დავალება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ 1950 წლიდან კლავე გაანდოდეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობა 1947 წლიდან მოპოვებული მიღწევების მიხედვით, ჩვენ ოღვაფრთოვანებს და შრომის ხალისს გვმატებს. თვითეული კოლმეურნის მოვალეობაა იმუშაოს ძალების დაუზოგავად, ყველაფერი გაკეთოს გამოფენაში მონაწილეობის სპატიო უფლების მოპოვებისათვის. ბრიგადა მე ჩემი ბრიგადის სახელით მახარაძისთა მიმართვის პასუხად ვკისრულობ წელს სახელმწიფოს ჩვენგან 50 ტონა თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ტონისა.

მეგრელიოლმა ვარო ჯაფარიშვილმა, თამარ ყანნაშვილმა, ეთერ თამარიძემ მოსავლიანობის გეგმის ორმაგად და სამმაგად შესრულება იკისრეს. ახალგაზრდა ვალდებულები აიღეს სტახანოველებმა ვანო თანდიაშვილმა, ოსიფ კოკილაშვილმა, პაკელ დოლეფკაშვილმა, ლადო ალადაშვილმა.

მთლიანად კოლმეურნეობამ პირობა დასდო, რომ ყველა მიმდინარე სამეფო საკუთრეა აგროტექნიკურ ვადებში შეასრულოს, პირველად მოიხადოს თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე, გაზაფდოს შრომადღის ღირებულები, მარტო თამბაქოდან მიიღოს ორი ქილიონი მანეთი შემოსავალი, ნაცვლად შარშანდელი 1,5 მილიონი მანეთისა.

— გურიანთელ კოლმეურნეთა მიმართვა, სთქვა სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობის წევრმა კ. ნოზაძემ, ოფგაეწოდებს მოვიპოვოთ ისეთი მაჩვენებლები, რაც უფლებას მოგვცემს გავხდეთ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენ. ეს პატარა საქმე როდია. სიტყვა ვიძლევი, რომ შარშანდელი 9 ცენტნერის ნაცვლად წელს პეტტარზე 25 ცენტნერი თამბაქო მოვიყვანო.

ასეთივე ვალდებულებები იკისრეს კოლმეურნეებმა ფორე კაპანაძემ, სარდიონ საბაშვილმა, სანდრო მოსლეშვილმა.

მიმართვა განხილეს და სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს აგრეთვე გაზეთ „ზარიი ვოსტოკას“ სახელობის, ტელმანის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

გ. ყაჯრიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მსხვილ კოლმეურნეთა სიტყვები და საქმეები

ზოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა თაოსნობას მეხუთე კოლმეურნეება ახალი საწარმოო აღმავლობით უპასუხებენ.

სოფელ წეროვნის კირიოვის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადამ, რომელსაც ამხ. შ. ჯაჯანიძე ხელმძღვანელობს, გეგმით გათვალისწინებული 17,5 ჰექტარის ნაცვლად უკვე მოხსნა 19 ჰექტარი, 15 ჰექტარის ნაცვლად დათესა 35 ჰექტარი ქერი. მახარაძესთა მიმართვის პასუხად ბრიგადამ იკისრა: დამატებით მოხსნა 6 ჰექტარი, ვადამდე 10 დღით ადრე დაამთავროს სიმინდის თესვა, საუკეთესო მოვლით გადადიოს მოსავლიანობა ქერისა—6 ცენტნერით, მზესუმზრისა—2 ცენტნერით, სიმინდისა —14 ცენტნერით.

მთლიანად კოლმეურნეობამ პირობა დასდო გეგმის გადამეტებით დასთესოს 15 ჰექტარი სიმინდი, ბოსტნეულის თესვის გეგმას გადაუჭარბოს 2 ჰექტარით, გაამეოს 6 ჰექტარი ვაზი; თაოსვანი კულტურების მოსავლიანობა გადიდოს 5 ცენტნერით, სიმინდისა—9 ცენტნერით, მზესუმზრისა—2 ცენტნერით და ბოსტნეული კულტურებისა—ერთიორად; გადაჭარბებით შეასრულოს მეცხოველეობის გაფვითარების 1947 წლის სახელმწიფო გეგმა და 1946 წელთან შედარებით 30 პროცენტით გაადიდოს წველადობა; ერთიორად გადიდოს კოლმეურნეობის ფუძეები შემოსავალი; წელს თვითეულ შრომადღეზე გასცეს 10 კილოგრამამ მარცვლეული.

სოფელ წოლანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. პაპავაძე) ვადამდე 10 ჰექტარის გადაჭარბებით შეასრულა თავთავიანი კულტურების თესვა, დამთავრა ხეხილისა და ვენახის ნიადაგის ბარვა და მიწიდერად გაიტანა 700 ტონა ნაკელი. ამ კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ხუროშვილმა პირობა დასდო თვითეული ჰექტარიდან მიიღოს თხუთმეტი ტონა სიმინდი. ასეთივე ვალდებულება იკისრეს მეეკვსე ბრიგადის მეგრელთმა გ. ჩილიანიშვილმა, კოლმეურნეებმა ა. ანფრიანშვილმა და თ. წიკლაურმა. კოლმეურნე ზ. ცოცაიშვილმა, რომელმაც მარშან ჰექტარზე საშუალოდ 104 ცენტნერი სიმინდი მიიღო, იკისრა წელს მოიყვანოს 120 ცენტნერი.

ბურიანთელ კოლმეურნეთა მიმართვის სპასუხოდ კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს წელკანის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ბერძენიძე), მეცხოვის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. მრეველიშვილი), ჩარდახის ჩარკვიანის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. აბაშიძე) კოლმეურნეობებმა.

„ოქტომბერის პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმაღლობის ღონისძიებათა შესახებ“ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები, გურიანთელ კოლმეურნეთა მიმართვის პასუხად კიდევ უფრო აძლიერებენ შუშაობის ტემპებს, წარმატებით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებისათვის, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

რაიონის 24 კოლმეურნეობამ ვადაზე 10-15 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 152,5 ჰექტარით მეტი თავთავიანი მარცვლეული კულტურები, და 254 ჰექტარით მეტი ზზესუმზრია, ვიდრე შარშან დაითესა.

აპ. ჟირია

„კომუნისტის“ კორესპონდენტი

ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

საქართველოს კოლმეურნეობებში ყოველდღიურად ძლიერდება ხვნა-თესვის ტემპები. 15 მარტისათვის საგაზაფხულოდ მოხნულია 140.497 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 37,3 პროცენტით (შარშან ამ დროს გეგმა 21,7 პროცენტით იყო შესრულებული).

თბილისის რაიონში საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია 113,6 პროცენტით, წითელწყაროს რაიონში—103,6, მარნეულის—97,3, გარდაბნის—84,8, წალენჯიხის—83,0, აბაშის—76,0, წულუკიძის—79,5, ახმეტის—33,1, საგარეჯოს—39,1, ბოლნისის — 68,8, მცხეთის—64,9, ლაგოდეხის — 69,0, ყვარლის—57,1, თეთრი წყაროს—49,4, ქარაღლის—56,6, სამტრედიის—68,Წ, წყალტუბოს—71,4, ქუთაისის—53,8, ხონოროწყის—55,6, გეგეჭკორის—50,5, ჩხარის—3,9, ჯოთორეის რაიონში—5,3, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში —25,3, აჭარის ასს რესპუბლიკაში—5,3 პროცენტით.

კოლმეურნეობებში 15 მარტისათვის დათესილია 35.755 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. გეგმა შესრულებული 24,2 პროცენტით. თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის რესპუბლიკური გეგმა 24,2 პროცენტით არის შესრულებული, მზესუმზრისა — 51,5 პროცენტით, ბოსტნეულისა — 13,2, კარტოფილისა — 5,9 პროცენტით.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული 10 რაიონში. ბოლნისის რაიონში გეგმა შესრულებული 325,4 პროცენტით, მარნეულის რაიონში—250,7, წითელწყაროს — 232,1, სიღნაღის რაიონში—167,3 პროცენტით.

მთლიანად, ყველა საგაზაფხულო კულტურის თესვის გეგმა თბილისის რაიონში შესრულებულია 52,9 პროცენტით, სიღნაღის რაიონში—34,9, კასპეთში—33,0, წითელწყაროს—29,1, საგარეჯოს—30,2, გარდაბნის — 31,1, ყვარლის—19,6, ლაგოდეხის—7,4, ბოლნისის—18,6, მცხეთის—18,0, მარნეულის—4,3, დმანისის — 1,3, თეთრი წყაროს—15,3, წალკის—19,7 კასპის—18,0, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—27,1 პროცენტით.

რესპუბლიკური თათბირი ფიზიკურად ტარული მუშაობის საკითხებზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა საქართველოს აღკ კ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მოიწვია ფიზკულტურული და კომკავშირული მუშაკების რესპუბლიკური თათბირი.

მოხსენება საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის შედეგები გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ გააკეთა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფარულავამ.

მომხსენებელმა გაამეტა საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ 1946 წელს მოპოვებული წარმატებანი და ვრცლად შეჩერდა ნაკლოვანებებზე, რაც ფიზკულტურულ ორგანიზაციათა საქმიანობას ახასიათებს.

თათბირზე აღინიშნა მთელი რიგი ფიზკულტურული კოლექტივების — თბილისის ქარხვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, პრიველი სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის ვაგონთა 35-ე და ქალთა მე-19 სკოლების, გალის რაიონის სოფელ ოქემის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის—კარგი მუშაობა.

თათბირზე მკაცრად გააკრიტიკეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, რომელიც არ ხელმძღვანელობს ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებს, აგრეთვე ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის საქალაქო კომიტეტი, დიმიტროვის სახელობის ქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაცია, გურჯაანის, ბორჩალოსა და ყაზბეგის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: ფაჩკლიანმა (თბილისის), ბაკაკლიანმა (აჭარა), ცხვედაძემ (ცირონის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი), რომელაშვილმა, ლელიშმა (საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის), მერკვილაძემ (განათლების სამინისტრო), გვალიამ (გეგეჭკორის), ჩოგოვაძემ (ქუთაისი), ურუშაძემ (ლანჩხუთი), მიქაძემ (დიდი ჯიხაიში) და სხვ. სულ 23 კაცმა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ი. ჯაფი.

აზესკაზების, ჩინოვნიკებისა და სამკერდე ნიშნების გადაცემა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კლუბი საზეიმოდ მოეფინა. დარბაზი ხალხს ვერ ტევდა. აქ შეკრებილან მეცნიერები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწენი.

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრმა, უნივერსიტეტის რექტორმა ნ. კეცხოველმა.

ამხ. კეცხოველმა აღნიშნა სახელმწიფო უნივერსიტეტის მნიშვნელობა საქართველოში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის. სახელმწიფო უნივერსიტეტის საფუძველზე ჩამოყალიბდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, როგორც, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი და სხვ. თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა 12.000 კაცმა. მათ შორის ბრიან ცნობილი მეცნიერები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

— მხოლოდ დიდი სტალინის მზრუნველობით მიაღწიეს ქართველმა მეცნიერებმა ესოდენ სერიოზულ წარმატებებს—დაამთავრა თავისი სიტყვა აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა.

შემდეგ ამხ. კეცხოველმა ატესტატები გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს ნ. კეცხოველს, ა. ეკეკოს, ნ. ბერძენიშვილს, გ. წერეთელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ბ. ბაბაევს, ბ. ბერძენიშვილს, ბ. ზ. ბ. ბ. ბ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲗ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘ, ᲠᲔᲞᲐᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

შირეთა საერთო საქმისათვის ამ უკანასკნელი მსოფლიო ომში.

ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის არმიები უმკლავდებოდნენ გერმანელებისა და მათი სატელიტების ორასზე მეტ დივიზიას, ხოლო დროდადრო ამ დივიზიათა რიცხვი 240-ს აღწევდა. სამი წლის განმავლობაში საბჭოთა ჯარები მარტო ეწეოდნენ ბრძოლას ჰიტლერისა და მისი სატელიტების არმიის წინააღმდეგ. საბჭოთა არმიამ დაიცვა და იხსნა თავისი საშობლო. ცნობილია საბჭოთა არმიის დამსახურება ევროპის ცივილიზაციის ხსნაში.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირმა მძიმე ზარალი ნახა. ჩვენმა ქვეყანამ მილიონობით ადამიანი დაკარგა და კოლოსალური მატერიალური ზარალი განიცადა. საბჭოთა თავგრობა და მთელი საბჭოთა ხალხი ვერ დაუშვებენ, რომ ეს დაეშუბებულ იქნას.

აქ საჭიროა გავიხსენოთ, თუ რა დაეკარგა ომი საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გერმანიის, აგრეთვე იაპონიის წინააღმდეგ ომზე გაწეული ხარჯები და შემოსავლის დაკარგვა, რაც ოკუპაციის შედეგად მოეკვეთა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საწარმოებს, კოოპერატივებს, კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას, ვეებერთელა თანხას შეადგენს. ეს ხარჯები და შემოსავლის დაკარგვა მარტო ომის პერიოდში შეადგენს სულ ცოტა 357 მილიარდ დოლარს.

ამ თანხას უნდა დაემატოს ის ზარალი, რაც ჩვენს სახელმწიფოსა და მოსახლეობას მოუვიდათ სახელმწიფო, კოოპერაციული და პირადი ქონების უდიდესი ნგრევა-დატაცების შედეგად ომის წლებში იმ ტერიტორიაზე, რომელიც ოკუპირებული იყო მტრის მიერ. საგანგებო სახელმწიფო კომისიამ, რომელიც შედგენილ იქნა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით, ეს პირდაპირი ზარალი იმ ტერიტორიაზე, რომელმაც ოკუპაცია განიცადა, 128 მილიარდი დოლარით განსაზღვრა.

ჩვენი ქვეყნის პირდაპირი ზარალის ეს უდიდესი თანხა რომ ცხადეყო, მოგაგონებთ, რომ გერმანელმა ფაშისტმა დაძმკვრილებმა და მათმა სატელიტებმა მთლიანად ან ნაწილობრივ დაანგრიეს და დააზიანეს 1.710 ქალაქი და 70 ათასზე მეტი დაბა-სოფელი, დაანგრიეს და დააზიანეს 6 მილიონზე მეტი შენობა და უსახლოდ დასტოვეს 25 მილიონამდე კაცი; დაანგრიეს 31.850 სამრეწველო საწარმო, სადაც 4 მილიონამდე მუშა მუშაობდა; დაანგრიეს 65 ათასი კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი და 4.100 რკინიგზის სადგური; ათობრეს და გაძარცვეს 98 ათასი კოლმეურნეობა, 1.876 საბჭოთა მეურნეობა და 2.890 მანქანა-ტრაქტორთა სადგური; დაკლეს, წაართვეს ან გერმანიაში გარეკეს 7 მილიონი ცხენი, 17 მილიონი სული მსხვილეფეხა რქიანი საქონელი, 20 მილიონი სული ღორი, 27 მილიონი ცხვარი და თხა. გარდა ამისა, მათ მოსპეს და გაანადგურეს 40 ათასი საავადმყოფო და სხვა სამკურნალო დაწესებულება, 84 ათასი სკოლა, ტექნიკუმი, უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, 42 ათასი საზოგადო საბიბლიოთეკო ბიბლიოთეკა. ყოველივე ამას უნდა დამატოს ზარალი ადამიანთა მრეხა, რაც რამდენიმე მილიონს შეადგენს. ასეთი ეიფრენის შემდეგ, იმედი მაქვს, თქვენთვის გასაგები იქნება, თუ რაშის მოითხოვენ მტკიცედ საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი, რათა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეპარაციების შესახებ ბერლინისა და ყირიმის კონფერენციების გადაწყვეტილებათა შესრულებას. ამასთან საჭიროა, რომ, ბოლოსდაბოლოს, განისაზღვროს რეპარაციების ოდენობა და გადახდევინების წესი.

მაშინ, როცა მარტო ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩვენს ქვეყანას 128 მილიარდი დოლარის საერთო ზარალი მოუვიდა, საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ გერმანიამ აანაზღაუროს რეპარაციები 10 მილიარდი დოლარის ოდენობით. რეპარაციების ასეთი ოდენობის დროს გერმანია გადაიხდის იმ პირდაპირი ზარალის ერთ მეათედ ნაწილზე ნაკლებს, რაც საბჭოთა კავშირს იმ ტერიტორიაზე მოუვიდა, რომელიც ოკუპირებული იყო გერმანელი დამპყრობლების მიერ. საბჭოთა სახელმწიფოს ასეთი მოთხოვნის სამართლიანობა სრულად უდავოა.

III

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲠᲔᲞᲐᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ

საჭირო გარკვეულობა რომ შეეტანონ გერმანიისაგან მისაღები რეპარაციების საკითხში, მოიხდება ამ საკითხის გამო ძირითად დოკუმენტებზე შეჩერება.

უწინარეს ყოვლისა, მოვიყვან ბერლინის კონფერენციის შესახებ საერთაშორისო დაწყვეტილების სრულ ტექსტს. აი ეს ტექსტი:

„ᲠᲔᲞᲐᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

შესაბამისად ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებისა იმის შესახებ, რომ გერმანია უნდა ვიიძულოთ რაც შეიძლება მეტი ზომით აანაზღაუროს ზარალი და ტანჯვა, რაც მან გაერთიანებულ ერებს მიაყენა და რისთვისაც პასუხისგებლობას გერმანელი ხალხი თავიდან ვერ აიცილებს, მიიწვიულ იქნა შემდეგი შეთანხმება რეპარაციათა შესახებ:

1. სსრ კავშირის სარეპარაციო პრეტენზიები დაკმაყოფილებული იქნება ამოღებათა გზით გერმანიის იმ ზონიდან, რომელიც ოკუპირებულია სსრ კავშირის მიერ, და საზღვარგარეთ არსებულ გერმანიის შესაბამის დანაფლვებთაგან.

2. სსრ კავშირი დაკმაყოფილებს პოლონეთის სარეპარაციო პრეტენზიებს რეპარაციათა თავისი წილადან.

3. შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს და სხვა იმ ქვეყნების სარეპარაციო პრეტენზიები, რომლებსაც რეპარაციათა მიღების უფლება აქვთ, დაკმაყოფილებული იქნება დასავლეთი ზონებიდან და საზღვარგარეთ არსებულ გერმანიის შესაბამის დანაფლვებთაგან.

4. იმ რეპარაციათა დამატებით, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ოკუპაციის თავისი ზონიდან იღებს, სსრ კავშირი კიდევ მიიღებს დასავლეთი ზონებიდან:

A) 15 პროცენტს ისეთი ვამოსაყენებელი გარგისი და კომპლექტური სამრეწველო კაპიტალური მოწყობილობისას, პირველ რიგში, მრეწველობის მეტალურგიული, ქიმიური და მანქანათმაშენებელი დარგებისას, რომელიც აუცილებელი არ არის გერმანიის სამშვიდობო შეურნეობისათვის და ამოღებულ უნდა იქნას გერმანიის დასავლეთი ზონებიდან, გადაცალებულად ეკვივალენტური ღირებულების სურსათზე, ქვანახშირზე, კალაჯაზე, ოფლიზე, ხე-ტყის მასალებზე, თიხის ნაწარმზე, ნავთის პროდუქტებსა და სხვა სახის მასალებზე, რაც დოკუმეთი იქნება შეთანხმებით;

B) 10 პროცენტს ისეთი სამრეწველო კაპიტალური მოწყობილობისას, რომელიც აუცილებელი არ არის გერმანიის სამშვიდობო ეკონომიკისათვის და რომელიც ამოღებულ უნდა იქნას დასავლეთი ზონებიდან საბჭოთა მთავრობისათვის რეპარაციის ანგარიშში ვადასაცემად უსასყიდლოდ ან რაიმე სახით აუნაზღაურებლად.

ზემოჩამოთვლილ „A“ და „B“ პარაგრაფებში დათქმული მოწყობილობის ამოღება მოხდება ერთსადაიმავე დროს.

5. იმ მოწყობილობის რაოდენობა, რომელიც ამოღებულ უნდა იქნას დასავლეთი ზონებიდან რეპარაციათა ანგარიშში, უნდა განისაზღვროს არა უგვიანეს ექვსი თვისა, დაწყებული ფილიდან.

6. სამრეწველო კაპიტალური მოწყობილობის ამოღება დაიწყება იმდენად მალე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და დამთავრდება ორი წლის განმავლობაში მე-5 პარაგრაფში აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ. მე-4 „A“ პარაგრაფში დათქმული პროდუქტების ჩაბარება დაიწყება იმდენად მალე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და საბჭოთა კავშირი განაზოგიერებულებს მას შეთანხმებაში დათქმულ პარტიებად, ხსენებული თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში. გადაწყვეტილებანი იმ კაპიტალური მოწყობილობის ოდენობისა და ხასიათის შესახებ, რომელიც აუცილებელი არ არის გერმანიის სამშვიდობო ეკონომიკისათვის, და ამიტომ რეპარაციის ექვემდებარეა, მიღებულ იქნება საკონტროლო საბჭოს მიერ იმ პროტოკოლის თანახმად, რომელიც მიიღო მოკავშირეთა სარეპარაციო კომისიამ საფრანგეთის მონაწილეობით, ამასთან სამოლო გადაწყვეტილებანი გამოტანილ იქნება იმ ზონის სარდლის მიერ, საიდანაც ამოღებულ იქნება მოწყობილობა.

7. იმ მოწყობილობის საერთო რაოდენობის განსაზღვრამდე, რაც ამოღებულ უნდა იქნას, მოხდება ისეთი მოწყობილობის ავანსად ჩაბარება, რომელიც მიჩნეული იქნება ჩასაბარებლად მე-6 პუნქტის უკანასკნელ ფრაზაში აღნიშნული წესის შესაბამისად.

8. საბჭოთა მთავრობა ოარს ამბობს ყველა პრეტენზიაზე გერმანიის ის საწარმოების აქციათა რეპარაციის მიმართ, რომლებიც გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონებში მდებარეობენ, აგრეთვე გერმანიის საზღვარგარეთულ აქციებზე ყველა ქვეყანაში, გარდა იმ ქვეყნისა, რომლებიც აღნიშნულია მე-9 პუნქტში.

9. ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს მთავრობები უარს ამბობენ ყველა პრეტენზიაზე ბერლინის იმ საწარმოების აქციათა რეპარაციის მიმართ, რომლებიც გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონაში მდებარეობენ, აგრეთვე გერმანიის საზღვარგარეთულ აქციებზე ბულგარეთში, ფინეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და აღმოსავლეთ ავსტრიაში.

10. საბჭოთა მთავრობას პრეტენზიები არა აქვს ის ოქროზე, რომელიც მოკავშირეთა ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანიაში“.

ბერლინის კონფერენციის ეს გადაწყვეტილება დაწერილია კომენტარებს არ საჭიროებს.

მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილება იწყება სიტყვებით, რომ იგი მიღებულია „ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად“. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა მოვიგონოთ, თუ სახელდობრ რა გადაწყვეტა ყირიმის კონფერენციამ გერმანიისაგან მისაღები რეპარაციების საკითხზე.

სრული გარკვეულობა რომ შეეტანონ იმ საკითხში, მოიხდება ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილების გამოქვეყნებაზე, რომელიც დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. აი ეს გადაწყვეტილება.

„ᲝᲛᲘᲡ

სამი მთავრობის მეთაურთა მოლაპარაკების შესახებ ყირიმის კონფერენციაზე გერმანიისგან ნატერი მისაღები რეპარაციების საკითხის გამო.

სამი მთავრობის მეთაურები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. გერმანია ვალდებულია ნატურით აანაზღაუროს მის მიერ ომის შესაკლილაში მოკავშირე ერებისათვის მიყენებული ზარალი.

რეპარაციები პირველ რიგში უნდა მიიღონ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ომის მთავარი სიმძიმე გადაიტანეს, ყველაზე მეტი ზარალი განიცადეს და მტერზე გამარჯვება მოაწყეს.

2. გერმანიისგან რეპარაციები გადახდევინებულ უნდა იქნას სამი ფორმით:

ა) ერთდროული ამოღებანი ორი წლის განმავლობაში გერმანიის კაპიტალიაციის ან ორგანიზებული წინაადგენების შეწყვეტის შემდეგ გერმანიის ეროვნული სიმდიდრიდან, რომელიც იმყოფება როგორც თვით გერმანიის ტერიტორიაზე, ისე მის გარეთ (მოწყობილობანი, დაზგები, ხომალდები, მოძრავი შემადგენლობა, გერმანიის დაბანდებანი საზღვარგარეთ, გერმანიის სამრეწველო, სატრანსპორტო, სანაოსნო და სხვა საწარმოთა აქციები და სხვ.), ამასთან ეს ამოღებანი უნდა ჩატარდეს უმთავრესად გერმანიის სამხედრო პოტენციალის მოსპობის მიზნით;

ბ) ყოველწლიური სასაქონლო მიწოდებანი მიმდინარე პროდუქციიდან ოთხი დამთავრების შემდეგ იმ პირობიდან გამოვლენილ ნაწილზე ნაკლებს, ანუ ამ პირობიდან ზარალის ერთ მეათედ ნაწილზე ნაკლებს, რაც საბჭოთა კავშირს იმ ტერიტორიაზე მოუვიდა, რომელიც ოკუპირებული იყო გერმანელი დამპყრობლების მიერ. საბჭოთა სახელმწიფოს ასეთი მოთხოვნის სამართლიანობა სრულად უდავოა.

IV

ᲠᲔᲞᲐᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

უკანასკნელ დროს წარმოშვა დაკვრეპარაციების ანგარიშში მიმდინარე პროდუქციის მიწოდების საკითხის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაკვ წარმოიშვა მოუხდავად იმისა, რომ ძრაველი ცნობის თანახმად მიმდინარე მიწოდების ადგილი აქვს დასავლეთ ზონებზეც. ყირიმის კონფერენციის ოქმის ტექსტიდან სჩანს, რომ უკვე მაინნ ეს საკითხი არაკეთარ ეკუნ არ იწვევდა ყირიმის კონფერენციის არც ერთ მონაწილეში. ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებში ყურადღება მიექცეულ იყო მოწყობილობის ამოღების საკითხზე, როგორც მთავარ საკითხზე, მაგრამ ამ გადაწყვეტილებაში არ არის არც ერთი სიტყვა მიმდინარე პროდუკციიდან რეპარაციების მიღების წინააღმდეგ, როგორც ეს ეთანხმებულ ეყო ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებანი. სხვათაშორის იმ პერიოდში საკითხე არ იყო ამ საკითხების დეტალებში ჩაწვდენა, ვინაიდან შესაძლო მიმდინარე მოწოდებათა ოდენობის განსაზღვრა არ შეიძლებოდა.

უკანასკნელ დროს აღინიშნაედნენ, რომ მიმდინარე პროდუკციიდან ნუკანა რაციების ნაწილის შესრულება მოითხოვს გერმანიის მრეწველობის დონის ომ გეგმის გადიდებას, რომელიც მიღებული იყო ერთი წლის წინათ საკონტროლო საბჭოს მიერ. უნდა ვიფიქროთ ამ შენიშვნის სამართლიანობაზე. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა გადაისინჯოს გერმანიის მრეწველობის დონის ამ ერთი წლის წინათ დაწესებული გეგმა და ეს დონე ამაღლდეს საკონტროლოგზე.

ეს ფაქტი ფაქტია, ეს ფაქტი ეს ფაქტია, ეს ფაქტი ეს ფაქტია, ეს ფაქტი ეს

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

17 მარტის სხდომა

თბილისი,მარტის 9. ᲗᲔᲠᲔᲚᲘ

სხდომის დღის წესრიგში იდგა გენერალიანმა ალიადინი სამეფოო საქმეთა მინისტრების ერთი ერთიანი ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲖᲔ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ